

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 24

2019 წლის 24 დეკემბერი

ქ. აბაშა

აბაშის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 91-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს დამტკიცდეს აბაშის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით:

თავი I. აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	11,773.9	13,447.6	6,766.4	6,681.2	8,758.7	2,048.7	6,710.0
გადასახადები	1282.4	6,288.6	0.0	6,288.6	6,336.4	0.0	6,336.4
გრანტები	10,226.8	6,929.6	6,766.4	163.2	2,198.7	2,048.7	150.0
სხვა შემოსავლები	264.7	229.4	0.0	229.4	223.6	0.0	223.6
II. ხარჯები	5,860.4	7,810.4	1,317.5	6,492.9	6,847.3	0.0	6,847.3
შრომის ანაზღაურება	1,632.3	1,796.7	0,0	1,796.7	1,916.6	0.0	1,916.6
საკონელი და მომსახურება	714.68	1,307.2	524.1	783.1	800.5	0.0	800.5
პროცენტი	48.9	0	0	0	0.0	0.0	0.0
სუბსიდიები	2,643.6	3,046.0	0.0	3,046.0	3,292.7	0.0	3,292.7
გრანტები	0.0	30.0	0.0	30.0	30.0	0.0	30.0
სოციალური უზრუნველყოფა	492.32	635.4	0.0	635.4	662.3	0.0	662.3
სხვა ხარჯები	328.6	995.1	793.4	201.7	145.2	0.0	145.2
III. საოპერაციო სალდო	5,913.5	5,637.2	5,448.9	188.3	1,911.4	2,048.7	- 137.3
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	6,989.0	7,189.6	6,272.5	917.1	2,325.4	2,048.7	276.7
ზრდა	7,008.4	7,277.6	6,272.5	1,005.1	2,325.4	2,048.7	276.7
კლება	19.4	88.0	0	88.0	0.0	0.0	0.0
V. მთლიანი სალდო	-1,075.5	-1,552.4	- 823.6	- 728.8	- 414.0	0.0	- 414.0
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-1,075.5	- 1,604.6	- 823.6	- 781.0	- 490.0	0.0	- 490.0
ზრდა	1,589.6				0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	1,589.6				0.0	0.0	0.0
კლება	2,665.1	1,604.6	823.6	781.0	490.0	0.0	490.0
ვალუტა და დეპოზიტები					0.0	0.0	0.0
სესხები	2,665.1	1,604.6	823.6	781.0	490.0	0.0	490.0

VII. ვალდებულებების ცვლილება	0.0	- 52.2	0.0	- 52.2	-76.0	0.0	-76.0
კლება					76.0	0.0	76.0
საშინაო	0.0	52.2	0.0	52.2	76.0	0.0	76.0
სესხები							
სხვა კრედიტორული დავალიანებები							
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	14,458.4	15,140.2	7,590.0	7,550.2	9,248.7	2,048.7	7,200.0
შემოსავლები	11,773.9	13,447.6	6,766.4	6,681.2	8,758.7	2,048.7	6,710.0
არაფინანსური აქტივების კლება	19.4	88.0	0.0	88.0	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების კლება	2,665.1	1,604.6	823.6	781.0	490.0	0.0	490.0
ვალდებულებების ზრდა					0.0	0.0	0.0
გადასახდელები	12868.8	15,140.2	7,590.0	7,550.2	9248.7	2048.7	7200.0
ხარჯები	5,860.4	7,810.4	1,317.5	6,492.9	6847.3	0.0	6847.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	7,008.4	7,277.6	6,272.5	1,005.1	2325.4	2048.7	276.7
ვალდებულებების კლება	0.0	- 52.2	0.0	- 52.2	76.0	0.0	76.0
ნაშთის ცვლილება							

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 8,758.7 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	11,773.9	13,447.6	6,766.4	6,681.2	8,758.7	2,048.7	6,710.0
გადასახადები	1,282.4	6,288.6	0.0	6,288.6	6,336.4	0.0	6,336.4
გრანტები	10,226.8	6,929.6	6,766.4	163.2	2,198.7	2,048.7	150.0
სხვა შემოსავლები	264.7	229.4	0.0	229.4	223.6	0.0	223.6

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 6,336.4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	1,282.4	6,288.6	0.0	6,288.6	6,336.4		6,336.4
საშემოსავლო გადასახადი	368.4	-	-	-	-	-	-
დამატებითი ღირებულების გადასახადი	-	5,388.6	0.0	5,388.6	5,386.4	0.0	5,386.4
ქონების გადასახადი	914.0	900.0	0.0	900.0	950.0	0.0	950.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	455.8	460.0	0.0	460.0	509.0		509.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	22.7	-	-	-			
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-	-	-	-	1.0		1.0
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	325.3	340.0	0.0	340.0	380.0		380.0
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	110.2	100.0	0.0	100.0	60.0		60.0

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 2,198.7 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
გრანტები	10,226.8	6,929.6	2,198.7
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები		16.2	
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან		6,413.4	150.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	4,962.6		
სსპ - დან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი		327.8	
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	142.6	147.0	150.0
კაპიტალური ტრანსფერი	5,121.6	5,938.6	2,048.7
სპეციალური ტრანსფერი, მათ შორის :			
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		500.0	

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 223.6 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	264.7	229.4	223.6
შემოსავლები საკუთრებიდან	96.7	69.0	70.0
რენტა	67.0	40.0	50.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	39.7	43.0	40.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	38.6	43.0	26.0
სანებართვო მოსაკრებელი	11.1	25.0	6.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	27.5	18.0	20.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1.1		14.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	107.0	117.4	113.6
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	21.3	0.0	0.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 6,847.3 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	5,860.4	7,810.4	1,317.5	6,492.9	6,847.3	0.0	6,847.3
შრომის ანაზღაურება	1,632.3	1,796.7	0.0	1,796.7	1,916.6	0.0	1,916.6
საქონელი და მომსახურება	714.68	1,307.2	524.1	783.1	800.5	0.0	800.5
პროცენტები	48.9					0.0	
სუბსიდიები	2,643.6	3,046.0	0.0	3,046.0	3,292.7	0.0	3,292.7
გრანტები		30.0		30.0	30.0		30.0
სოციალური უზრუნველყოფა	492.32	635.4	0.0	635.4	662.3	0.0	662.3
სხვა ხარჯები	328.6	995.1	793.4	201.7	145.2	0.0	145.2

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 2,325.4 ათასი ლარით.

მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა 2,325.4 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 0.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5.2	100.1	43.1
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	5.2	100.1	43.1
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6,760.7	5,260.9	2,277.6

02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	3,253.9	2,893.0	1,341.2
02 01 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	3,253.9	2,893.0	1,147.3
02 01 02	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება			193.9
02 02	ბინათმშენებლობა	135.6	362.1	625.6
02 03	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	436.9	14.8	305.8
02 05	სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	1,658.0	941.6	
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	7.6	498.9	
02 07	მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის ღონისძიებები	1,268.7	550.5	
02 07 01	სკვერების მოწყობის ღონისძიებები		550.5	5.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა			4.7
03 02	მწვანე ნარგავების შექმნა			4.7
04 00	განათლება	43.1	708.2	
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	39.4		
04 02	საჯარო სკოლების დაფინანსება	3.7	632.8	
04 03	სკოლამდელი საადმინისტრაციო დაწესებულებების რეაბილიტაცია		75.4	
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	68.4		
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	29.1		
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	39.3		
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა			
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	131.0	1,208.4	
06 02	მოსახლეობის ჯანმრთელობის სტაციონალური მომსახურება და ამბულატორიების მშენებლობა	131.0	1,208.4	
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	7,008.4	7,277.6	2,325.4

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	19.4	88.0	0.0
ბირითადი აქტივები	8.6		
არაწარმოებული აქტივები	10.8	88.0	0.0
მიწა	10.8	88.0	0.0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
7 1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,216.3	2,752.1	2,888.4
7 1 1	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,167.4	2,698.6	2,811.4

7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,167.4	2,697.9	2,781.4
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა		0.7	30.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები			76.0
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	48.9	53.5	1.0
7.2	თავდაცვა	76.0		
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა			
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	6,366.6	5,100.7	1,371.2
7.4.2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	1,843.0	1,537.9	
7.4.5	ტრანსპორტი	3,254.9	3,012.3	1,341.2
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3,254.9	3,012.3	1,341.2
7.4.5.5	მისლადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები			
7.4.7	ეკონომიკის სხვა დარგები			30.0
7.4.7.3	ტურიზმი			30.0
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1,268.7	1,296.6	
7.5	გარემოს დაცვა	782.5	995.2	299.7
7.5.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება			295.0
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	782.5	995.2	
7.5.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში			4.7
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	572.5	1,249.2	1,658.9
7.6.1	ბინათმშენებლობა	135.6	1,204.4	625.6
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება			
7.6.3	წყალმომარაგება			
7.6.4	გარე განათება	436.9	14.8	555.8
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში		30.0	477.5
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	437.2	1,627.7	415.7
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	110.4	116.3	121.2
7.7.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	326.8	1,511.4	294.5
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	984.6	1,000.0	1030.5
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	347.7	320.0	357.6
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	479.4	598.0	585.0
7.8.3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	23.6	32.0	34.0
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	133.9	50.0	50.0
7.8.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში			3.9
7.9	განათლება	942.3	2,056.0	1,200.0
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	935.7	1,093.9	1,200.0
7.9.2	ზოგადი განათლება	6.6	962.1	
7.9.2.2	საბაზო ზოგადი განათლება			
7.9.2.3	საშუალო ზოგადი განათლება	6.6	962.1	
7.10	სოციალური დაცვა	490.8	359.3	384.3
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა			

7.10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა			2.0
7.10 3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	50.1	56.8	59.8
7.10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	159.6	190.0	216.0
7.10 6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა			8.0
7.10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას			
7.10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	281.1	112.5	98.5
	სულ	12,868.8	15,140.2	9248.7

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს - **414.0** ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო **1,911.4** ათასი ლარით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	5,913.5	5,637.2	1,911.4
მთლიანი სალდო	- 1,075.5	- 1,552.4	- 414.0

ათას ლარში

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს - **490.0** ათასი ლარით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	- 1,075.5	- 1,604.6	- 490.0
ზრდა	1,589.6		
ვალუტა და დეპოზიტი	1,589.6		
კლება	2,665.1	1,604.6	490.0
სესხები		1,604.6	490.0
ვალუტა და დეპოზიტი			

ათას ლარში

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აბაშის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 480.6 ათას ლარს, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 404.6 ათასი ლარი.

თავი II. აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **3,035.1** ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	ათას ლარში 2020 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	3,035.1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1,341.2
02 01 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	1,147.3
02 01 02	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	193.9
02 02	ბინათმშენებლობა	625.6
02 03	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	305.8
02 07	მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის ღონისძიებები	732.5
02 07 01	სკვერების მოწყობის ღონისძიებები	5.0
02 07 02 01	ქალაქის გარე განათება	250.0
02 07 02 02	კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები	477.5
02 09	ტურიზმი	30.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		1,147.3
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს გზის მოწყობას ასფალტო-ბეტონით, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გზის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით: სოფელ მაიდანში გზის მოწყობა მარტვილის მუნიციპალიტეტის საზღვრამდე - 375 147 ლარი; სოფელ ბულვანში გზის მოწყობა - 130 809 ლარი; ქალაქ აბაშაში შუბლაძის ქუჩის მოწყობა (მინი სტადიონამდე) - 60 482 ლარი; ქალაქ აბაშაში შუბლაძის ქუჩის პირველი შესახვევის მოწყობა - 96 021 ლარი; ნორიოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ საგვაზაოს ქუჩა N4 - ის მოწყობის		

	სამუშაოები - 50 682 ლარი; სოფელ პირველ მაისში N3 ქუჩის მოწყობის სამუშაოები (პირველი მაისის ცენტრიდან N5 ქუჩის გავლით) – 159 750 ლარი; სოფელ პირველ მაისში N6 ქუჩის მოწყობის სამუშაოები (პირველი მაისის ცენტრიდან კუდაქერის ბოლომდე) – 139 061 ლარი; სოფელ პირველ მაისში N7 ქუჩიდან N1 ქუჩამდე გზის მოწყობის სამუშაოები (პირველი მაისის ცენტრიდან გაუწყინარის სკოლის გავლით) – 105 341 ლარი; მუნიციპალიტეტში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები - 30 000 ლარი;
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შესრულებული სამუშაოები უსაფრთხოს გახდის ამ გზებზე გადაადგილებას, 2020 წელს რეაბილიტირებული გზებით საერთო ჯამში ისარგებლებს ადგილობრივი ქალაქ აბაშის და სოფლების მოსახლეობა;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		193.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხველობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს მაღალი ტექნოლოგიური მონაცემების მქონე 4 ჰკვიანი და 26 ზოგადი ხედვის კამერების განთავსებას, რომელიც აღჭურვილი იქნება სხვადასხვა ტიპის ანალიტიკური პროგრამებით, რომელიც განახორციელებს ვითარების მუდმივ (24/7) მონიტორინგს და დანიშნულზე მყისვე რეაგირებას		
მოსალოდნელი შედეგი	დამონტაჟებული ვიდეო-კამერებით დანიშნულების გახსნის მაჩვენებლის ზრდა		

პროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 02		625.6
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა მოიცავს მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობის, ადმინისტრაციულ შენობებში რემონტისა და ქალაქ აბაშაში კვათანის უბანში არსებული შენობის სარემონტო სამუშაოებს - 286 195 ლარით; ასევე მუნიციპალიტეტის შემოსასვლელში მდ. ცხენისწყლის მიმდებარედ საინფორმაციო ცენტრის მოწყობის სამუშაოები - 339 378 ლარი, პროგრამის ღონისძიებების დაფინანსება დაგეგმილია სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.		
მოსალოდნელი შედეგი	შექმნილი უსაფრთხო და კომფორტული გარემო ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის და სხვა ვიზიტორებისთვის. აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელების შემდეგ გაზრდილი მათი ექსპლუატაციის ვადა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03		305.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის შინაარსი მოიცავს მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებს - 305 765 ლარით; ღონისძიების ხარჯების დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად, მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიის 60%.

პროგრამის დასახელება	კოდი	სკვერების მოწყობის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	02 07 01		5.0
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	კონკურსის მიზანია: ქ.აბაშის ცენტრში ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სახელობის პარკში მათი მემორიალის (ქანდაკება) ესკიზისა და შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება		
მოსალოდნელი შედეგი	<ol style="list-style-type: none"> 1. საკონკურსო კომისია კონკურსში მონაწილეთაგან გამოავლენს 1 გამარჯვებულს. 2. კონკურსის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ პირთან მერი უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებას. 		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქალაქის გარე განათება	დაფინანსება ათას ლარში
	02 07 02 01		250.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	აბაშის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „აბაშის კეთილმოწყობა“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება . დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. აბაშაში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა. - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება. - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას. 		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	02 07 02 02		477.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	აბაშის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „აბაშის კეთილმოწყობა“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კეთილმოწყობილი ტერიტორიების ზრდა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა. გამწვანების ზოლში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, სასაფლაოების მოვლა პატრონობა.		
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხდება ნარგავების მორწყვა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების და გზის ნაპირის გაცეღვითი სამუშაოები, რამდენიმე ეტაპად შეიწამლება და გაიცელება სასაფლაოების ტერიტორიები		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტურიზმი	დაფინანსება ათას ლარში
	02 09		30.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია რეგიონში ტურიზმის განვითარების მოდელის შექმნის ხელშეწყობა და მისი პოპულარიზაცია		
მოსალოდნელი შედეგი	ყველა ტურისტული ღირსშესანიშნაობის არსებულის მდგომარეობის ანალიზი და ახალი მდგომარეობის დანერგვა		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **299.7** ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	299.7
03 01	ქალაქის დასუფთავება	295.0
03 02	მწვანე ნარგავების შექმნა	4.7

პროგრამის დასახელება	კოდი	ქალაქის დასუფთავება	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		295.0
პროგრამის განმახორციელებელი	აბაშის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „აბაშის კეთილმოწყობა“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>აბაშის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავშიდი მანქანები.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ კეთილმოწყობა ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი სპეც. ავტომობილები</p> <p>სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: ნორიო, სამიქაო, მაიდანო, გეზათი, ონტოფო, ძვ/აბაშა, ტყვირი, ნაესაკოვო, ქოლოზანი, მარანი, სუჯუნა, ზანათი, წყემი, სეფიეთი შეგროვებული ნარჩენი გადის სამტრედიის ტერიტორიის არსებულ ნაგავსაყრელზე. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 30მ/კუბ ნარჩენი.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქალაქ აბაშის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენის გატანა, დასუფთავდება მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების შექმნა	დაფინანსება ათას ლარში
	03 02		4.7
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ქალაქ აბაშის ტერიტორიაზე კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები		
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაირგვება ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები.		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **1,200.0** ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

<i>ათას ლარში</i>		
პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
04 00	განათლება	1,200.0
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	1,200.0

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		1,200.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>აბაშის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. აბაშის მუნიციპალიტეტში ამჟამად ფუნქციონირებს 20 სკოლამდელი დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 650 აღსაზრდელი, ჩარიცხვა ხდება სასწავლო წლის დასაწყისისთვის მშობელთა განცხადების საფუძველზე განურჩევლად კატეგორიისა.</p> <p>სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებს მომსახურებას უწევს 20 ს/ბაღის უფროსი, 1 ფსიქოლოგი, 1 ლოგოპედი, 20 მუსიკის პედაგოგი, აღმზრდელ-პედაგოგი-59, აღმზრდელის თანამშემწე-29, 92-სხვა ადმინისტრაციული და დამხმარე ტექ-პერსონალი, სულ დასაქმებულია 222 თანამშრომელი.</p> <p>პროგრამის მიზანია: ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;</p> <p>ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;</p> <p>ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;</p> <p>ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.</p> <p>ა(ა)იპ - სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის განმავლობაში სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 650-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 80%-ს შეადგენს</p>		

მუხლი 16. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **1,025.5** ათასი ლარი. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	1,025.5
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	352.6
05 01 01	სპორტის ცენტრის ხელშეწყობა	250.0
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	100.0
05 01 05	სპორტული ღონისძიებები	2.6
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	669.0
05 02 01	კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების ხელშეწყობა	565.0
05 02 02	ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	34.0
05 02 03	სხვა კულტურული ღონისძიებები	20.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	50.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	3.9

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის ცენტრის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		250.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტის ცენტრი აერთიანებს 11 სპორტულ სახეობას ესენია: ბიჭვინთი(45 ბავშვი), ბრომაული ჭიდაობა(32 ბავშვი), რაგბი (16-18 ბავშვი), ძიუდო (16-18 ბავშვი), ჭადრაკი(20 ბავშვი), კრივი (16 ბავშვი), მ/ჩოგბურთი (16 ბავშვი) კალათბურთი (16 ბავშვი), ტაეკვონდო (16 ბავშვი), მძლეოსნობა (16 ბავშვი) ნიჩბოსნობა (16 ბავშვი) სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 230 ბავშვი საწვრთნელი პროცესები უტარდებათ 3-4 ჯერ, სპორტის ცენტრში დასაქმებულია 31 ადამიანი, მათ შორის 9 ადმინისტრაციული პერსონალი, 9 ტექნიკური პერსონალი და 13 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს მონაწილეობას დებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში, როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ. ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. 		
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული ცენტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ცენტრის მომსახურებით და მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		100.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ზანა“		

პროგრამის აღწერა და მიზანი	ფეხბურთის პოპულარიზაცია, სპორტის აღნიშნული სახეობის განვითარებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა, ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სკოლისგარეშე სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, ჯანსაღი და ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა და დამკვიდრება, ნიჭიერი, პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა, ეროვნული ნაკრები გუნდებისთვის რეზერვის მიწოდება.
მოსალოდნელი შედეგი	საფეხბურთო შეჯიბრებებზე მაქსიმალური სპორტული ცოდნისა და უნარ - ჩვევების რეალიზება ამალღებული სპორტული შედეგების მიღწევად.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 05		2.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება პროექტები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სპორტის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად „ველოექსპედიციის მოწყობა“, ღონისძიება ითვალისწინებს ველო ტურს; მარშრუტი: ქ.აბაშის ცენტრი - წყემის ტყე (7 კმ) და ტრენინგ-სემინარი „ბუნებაში ორიენტირების და თვითგადარჩენის ხერხების შესახებ“ 2. მძლეოსნური გარბენი; 3. მუნიციპალური ჩემპიონატი ფეხბურთში; ოლიმპიური ჩემპიონის და სპორტის რაინდის ვაჟა კაჭარავას სახელობის პრიზის გათამაშება <p>ქვეპროგრამის მიზანი: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მოზარდების ჩართვა სპორტის სახეობებში</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები; ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებული სპორტსმენები;		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		565.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი: მთავარი ბიბლიოთეკა, სოფლის ბიბლიოთეკები, კლუბები და კულტურის სახლები, 2 მუზეუმი, ხელოვნების სკოლა და თვით კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრი.</p> <p>ხელოვნების სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, სიმღერის, ქორეოგრაფიული, სამხატვრო და ქართული ფოლკლორისა და გალობის განყოფილება, მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 258 მოსწავლეს. სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის მიზანია შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭის მქონე ბავშვების გამოვლენა, სიმღერის, ფოლკლორის და სხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბება.</p> <p>კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრში ფუნქციონირებს შემდეგი ფასიანი წრეები: ქორეოგრაფიული 3 ფასიანი წრე, ბიჭუნათა გუნდი "ბერეხა", ბენდი, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "ჰარირა". ფასიან წრეებში მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 380 მოსწავლეს. მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა</p> <p>ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა აკადემიური კონცერტისა და სამხატვრო განყოფილების მოსწავლეთა გამოფენის მოწყობა, ფოტოგამოფენა "საგანძურის" მოწყობა, სტუმრად ჩამოსულ</p>		

	შემოქმედებით ჯგუფებთან ერთად ერთობლივი კონცერტების ჩატარება, საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა სახის დაუფეგმავი ღონისძიებების ჩატარება, სოფლის ბიბლიოთეკებში სხვადასხვა სახის საინფორმაციო - საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა, მუზეუმებში შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებების ჩატარება.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები და სამხატვრო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამხატვრო და სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში

პროგრამის დასახელება	კოდი	ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		34.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „საინფორმაციო მაუწყებელი - აბაშის მაცნე“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია დიდი იყოს გაზეთის როლი, მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მუშაობაში, გაზეთის საშუალებით გაშუქდეს მუნიციპალიტეტში მიმდინარე ახალი ამბები, კულტურული და საზოგადოებრივი საკითხები. მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობა.		
მოსალოდნელი შედეგი	ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდა მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სხვა კულტურული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		20.0
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება პროექტი: აბაშის საერთაშორისო საბავშვო-საყმაწვილო კინოფესტივალი, რომლის მიზანია: კონოხელოვნების ნიჭით დაჯილდოვებული ნიჭიერი მოზარდების და მათი შემოქმედების პოპულარიზაცია, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებიდან და ქვეყნებიდან; ქვეპროგრამა ითვალისწინებს საახალწლო და სხვადასხვა სახის შემხვედრი ღონისძიებების დაფინანსებას.		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; კინოხელოვნების ნიჭით დაჯილდოვებული მოზარდების აღმოჩენა, წარმოჩენა, მათი ინტერესების სფეროს გაფართოვება; ჩვენი მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია		

პროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		50.0
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	რელიგიური ორგანიზაციათა კანონით ნებადართული აქტივების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა ფინანსური ხელშეწყობის უზრუნველყოფა.		
მოსალოდნელი შედეგი	ეკლესიის როლის გაძლიერება საზოგადოების ფართო ფენისთვის, მაღალი მორალურ-ზნეობრივი სულისკვეთების ფორმირებაში.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	05 03		3.9
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს აბაშის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების მიერ ინიცირებული თავისუფალი პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას.		
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდული პოლიტიკის შესაბამისად ახალგაზრდობისათვის ეფექტური წინაპირობის შექმნა მმართველობის პროცესში მათი ჩართვის მიზნით. წარმატებული მოსწავლეების მოტივაციის ამაღლება.		

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **800.0** ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	ათას ლარში
		2020 წლის გეგმა
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	800.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება	121.2
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	121.2
06 02	მოსახლეობის ჯანმრთელობის სტაციონალური მომსახურება და ამბულატორიების მშენებლობა	294.5

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
06 02 01	მოსახლეობის ჯანმრთელობის სტაციონალური მომსახურება	294.5
06 03	სოციალური დაცვა	384.3
06 03 01	მზრუნველობა მოკლებული მოსახლეობის უფასო კვების პროგრამა	60.0
06 03 02	სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამა (ხანძარი, ქარი, წყალდიდობა)	25.0
06 03 03	დედ-მამით ობოლი ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა.	1.8
06 03 04	მარჩენალდაკარგულ ბავშვთა (0-დან 18 წლის ასაკამდე) ოჯახების დახმარების პროგრამა.	21.0
06 03 05	ომის ვეტერანთა დახმარების პროგრამა	37.0
06 03 06	საშობლოს დაცვისას დაღუპული და ომის შედეგად გარდაცვლილი მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის ხარჯები	2.5
06 03 07	გარდაცვლილ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების დახმარების პროგრამა.	4.0
06 03 08	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა.	10.0
06 03 09	ყრუ-მუნჯებისა და ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეების დახმარების პროგრამა.	4.0
06 03 10	დიალიზის პროგრამაში მონაწილე ავადმყოფთა მგზავრობის მხარდაჭერის პროგრამა.	28.0
06 03 11	მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის (I ჯგუფი) მქონე პირების დახმარების პროგრამა.	35.0
06 03 13	მრავალშვილიანი ოჯახების (3 და მეტი შვილი 0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა.	106.0
06 03 14	ასი წლის და ასზე უხნესი ასაკის უხუცესთა დახმარების პროგრამა.	2.0
06 03 16	ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა	35.0
06 03 17	თავშესაფარის გარეშე დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებლის ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა	8.0
06 03 18	სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების დახმარების პროგრამა	5.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		121.2
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ადამიანური რესურსი ქვეყნის პრიორიტეტია ხოლო საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე ზრუნვა უპირველესი გამოწვევაა.</p> <p>მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემების გადაჭრა გულისხმობს მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეების და რისკების თავიდან აცილებას. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივ ჯანმრთელობის სფეროში არის:</p> <p>ა) საგანმანათლებლო, სადამრღველო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ზედამხედველობა და ხელშეწყობა</p> <p>ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა. მათ შორის ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში.</p> <p>გ) პროფილაქტიკური აკრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული</p>		

	<p>მასალების მიღების შენახვის და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის.</p> <p>დ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას.</p> <p>ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობა, ჯანმრთელობის რისკების შეფასება, მონიტორინგი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება.</p> <p>პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისგან</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სანიტარული ღონისძიებები 2. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზი, მალარია და პარაზიტული დაავადებები) 3. იმუნოზაცია 4. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პროგრამა <p>მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სანიტარული განათლების ამაღლება, სანიტარულ-ჰიგიენური ჯანსაღი გარემოს შექმნა, იმუნური ფონის გაზრდა, მართვადი ინფექციების მინიმუმამდე შემცირება იმუნური ფონის გაზრდით. განსაკუთრებით საშიში ინფექციათა დაავადების მაჩვენებლის მკვეთრი შემცირება, ნარკომანიისა და თამბაქოს პრევენცია, პირადი ჰიგიენის ჩვევების გამომუშავება</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 18 და + ასაკის ბენეფიციარების სკრინინგი, სწრაფი მარტივი ტესტით, ტუბერკულოზის, აივ შიდსისა და ც ჰეპატიტის ნადრევი გამოვლენის თვალსაზრისით პროგრამაში პირველადი ჯანდაცვის რგოლის ჩართვით. პროგრამის მიზანია ტუბერკულოზის, აივ შიდსის და ც ჰეპატიტის ადრეული გამოვლენის ხელშეწყობა, მკურნალობა, შორეული გართულების პრევენციის მიზნით მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება</p>

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>მოსახლეობის ჯანმრთელობის სტაციონალური მომსახურება</p>	<p>დაფინანსება ათას ლარში</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>06 02 01</p>		<p>294.5</p>
